

თავარ მამარლაშვილი

წინა ვითარების სახელთა წარმოების
ზოგი თავისებურების შესახებ ქართულში

ქართულ ენას საშუალება აქვს საგანი დაასახელოს იმის მიხედვით, რას წარმოადგენდა ის წინათ ან როგორი ვითარება ახასიათებს წინანდელს შედარებით. ამ ტიპის ნაწარმოები სახელები წინა ვითარების სახელ-სახელწოდებითაა ცნობილი. სახელი დარქმეულია იმ მნიშვნელობა-გათვალისწინებით, რომელიც აქვს ამგვარად ნაწარმოებ ფუძეებს. აკ. შანიძე „მოყვანილი აფიქსებით წარმოქმნილი სახელი გამოხატავს სხვადასხვა სახე-ყოფილობას. ურთიერთობა ძირეულსა და წარმოქმნილს შორის ლექსიკურ შინაარსის მხრივ ისეთია, რომ წარმოქმნილი აღნიშნავს: ა) საგანს, რომელიც წინათ იგივე იყო, რაც ძირეულით აღნიშნული (მწყემსი — ნამწყემსარი); ბ) ადგილს, სადაც წინათ ის საგანი იყო, რომელიც ძირეულს აღნიშნავს (სოფელი — ნასოფლარი); გ) საგანს, რომელიც იმ ადგილას იყო, რომელზედაც ძირეული მიუთითებს (მთა — ნამთევი); დ) დროს, როდესაც უკვე გავლილია ძირეულით აღნიშნული ხანი (შუაღამე — ნაშუაღამევს)“.

წინა ვითარების სახელთა წარმოების მხრივ თანამედროვე სალიტერატურო ქართული მრავალფეროვან მასალას წარმოგვიდგენს. ყოფილობის ფორმები ემყარება სახელის, ზმნის, სახელზმნისა და ზმნისართის ფუძეებს. მათ საწარმოებელ აფიქსებად გამოყენებულია **ნა-**, **ნა-ევ**, **ნა-არ/ნა-ალ**, რომლებიც ერთი და იმავე ფუნქციის მქონენი არიან და გამოხატავენ ყოფილობას ანუ წარსულ დროში ჩადენილ მოქმედებას. სახელის ფუძისაგან ნაწარმოები წინა ვითარების ფორმათა უმრავლესობა გაფორმებული ფუძეებითაა წარმოდგენილი, მაგრამ მოგვეპოვება ოდენ **ნა-** პრეფიქსიანი ვარიანტებიც. ამგვარი წარმოება უფრო მეტად გავრცელებული იყო ძველ ქართულში. მსგავს ფორმებში ფუძისეული ხმოვნის დაკარგვა პრეფიქსის გავლენის შედეგია: აბჯარი — ნა-აბჯრ-ი, არამი — ნა-არმ-ი, ვახშამი — ნა-ვახშმ-ი. **ნა-** პრეფიქსის გავლენით ხდება აგრეთვე ორმარცვლიან ხმოვანფუძიან სახელებში ბოლოკიდურ **ა** და **ე** ხმოვანთა მოკვეცვა: ფლატე — ნა-ნაფლატ-ი, ღობე — ნა-ღობ-ი, საქმე — ნა-საქმ-ი... მაგ.: ნა-საყდრ-ი (ადგილი, სადაც წინათ საყდარი იყო), ნა-მუხლ-ი (მუხლის ნაკვალევი). ოდენ **ნა-** პრეფიქსიან წინა ვითარების სახელთა ერთი ნაწილისათვის დამახასიათებელია ზმნური სემანტიკა: ნა-ხიზნ-ი (ის, ვინც გახიზნული იყო), ნა-სტუმრ-ი (სტუმრად ნამყოფი), ნა-ამაგდარ-ი (ვისზედაც ან რაზედაც ამაგი გასწიეს). უფრო პროდუქტიულია სახელთა ფუძეებისაგან ახალი სახელების წარმოქმნა **ნა-არ** და **ნა-ევ** პრეფიქს-სუფიქსებით. მაგ.: „თეიმურაზ ხევისთავი ორმოცი წლის ახალგაზრდა მოხუცი გახლდათ: ნათავადარი, ნამამულევი, ნამოდვაწარი და ნავექილარი“ (მ. ჯავახიშვილი, 1985, გვ. 14).

აფიქსთა ეს ორი წყვილი ერთი და იმავე მნიშვნელობის ახალ ფუძეებს აწარმოებს. სხვაობა იმაშია, რომ გარკვეული ფუძეებისაგან წარმოების შემთხვევაში ერთი წყვილია გამოყენებული, სხვა წყვილისაგან წარმოების შემთხვევაში — მეორე. მაგ.:

ტყვია - ნა-ტყვი-არ-ი (არ გვაქვს ნატყვიევი), ყანა — ნა-ყან-ევ-ი (და არა ნაყანარი) და მისთ. ზოგჯერ ერთი და იგივე ფუძე თანაბრად იგულებს ორივე

სახის წარმოებას და შედეგად ვიღებთ ორ ნაწარმოებ ფუძეს, რომლებიც ერთმანეთისაგან სუფიქსით განსხვავდებიან, მნიშვნელობით — არა. მაგ.: ვენახ-ფუძისაგან — ნავენახევი და ნავენახარი...

წინა ვითარების სახელთა საკმაოდ დიდი ნაწილი ფუძეს **-ევ** სუფიქსით იფორმებს. მაგ.: ნა-იარ-ევ-ი, ნა-ალაფ-ევ-ი, ნა-კვალ-ევ-ი, ნა-მახვილ-ევ-ი, ნა-ქმარ-ევ-ი, ნა-ყან-ევ-ი, ნა-ყმ-ევ-ი, ნა-ხმლ-ევ-ი, ნა-ჭრილობ-ევ-ი... **ნა—ევ** აფიქსებიან ყოფილობის ფორმებთან დაკავშირებით აღსანიშნავია: ერთმარცვლიანი ფუძეები ფორმდება მხოლოდ **ნა—ევ** ფორმანტებით (ნა-ტბ-ევ-ი, ნა-ყმ-ევ-ი, ნა-მთ-ევ-ი...). ზმნური სემანტიკის მატარებელი **ნა—ევ** აფიქსებიანი წინა ვითარების სახელებია: ნა-დამნ-ევ-ი (დამნით მიღებული ჭრილობა), ნა-ბურმარილ-ევ-ი (ვინც მიირთვა), ნა-ტიალ-ევ-ი (გატიალებული).

ნა—ევ პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოების წინა ვითარების სახელები ხშირად გაქვავებული სახითაა წარმოდგენილი მიცემით ბრუნვაში. ასეთ შემთხვევაში ის ზმნისართადაა ქცეული და თითქმის ყოველთვის დროის აღმნიშვნელია: ნა-ახალწლ-ევ-ს, ნა-სადილ-ევ-ს, ნა-კალანდ-ევ-ს, ნა-მწუხრ-ევ-ს, ნა-შუადღ-ევ-ს, ნა-შუალამ-ევ-ს...

თუმცა წინა ვითარების სახელთა დიდი უმრავლესობა ამ წესით არის ნაწარმოები, ზოგჯერ ხდება სუფიქსთა მონაცვლეობა და **-ევ** სუფიქსის ნაცვლად **-ებ** ბოლოსართი იჩენს თავს: ნააღდგომ-ებ-ი, ნაბატონ-ებ-ი, ნაჩაი-ებ-ს, ნაწირვ-ებ-ს, ნაჭრილობ-ებ-ი...

გვზღვება ისეთი ფაქტებიც, როდესაც ყოფილობის სახელის ფუძე **-ავ** სუფიქსითაა გაფორმებული. ამგვარი წარმოება იშვიათია. **ნა—ავ** ფორმანტებიან სახელთათვის დამახასიათებელია ზმნური სემანტიკა. ამ ტიპის ფორმებია: ნა-ხელ-ავ-ი (ვისამე ხელით შექმნილი), ნა-ალაფ-ავ-ი (ლაშქრობაში ნაშოენი ქონება, ნადავლი).

დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც წინა ვითარების სახელის ფუძე **-ებ** სუფიქსითაა გაფორმებული. თანამედროვე ქართულში ამგვარი წარმოება შედარებით მცირეა: ნაქალბატონები (ყოფილი ქალბატონი). აღსანიშნავია, რომ **ნა—ებ** ფორმანტებიან სახელთა უმეტესობა ზმნური სემანტიკის მატარებელია: ნა-ჭრილობ-ებ-ი (ჭრილობამიყენებული), ნა-სათუთ-ებ-ი (სათუთად მოვლილი), ნა-ანდაზ-ებ-ი (ანდაზად თქმული). **ნა—ებ** ფორმანტიანი სახელები მიცემითი ბრუნვის გაქვავებული ფორმით დროის ყოფილობის სახელებშიც დასტურდება: ნა-ჩაი-ებ-ს, ნა-სადილ-ებ-ს, ნა-ვახშმ-ებ-ს.

წინა ვითარების სახელთა ერთი ნაწილისათვის დამახასიათებელია **-ურ** ფორმანტით გაფორმებული ფუძეები (იგივე სუფიქსი დასტურდება დანიშნულების სახელებში ფუძის საწარმოებლად. შდრ.: ნა-ფეხ-ურ-ი — სა-ფეხ-ურ-ი, ნა-ცეცხლ-ურ-ი — სა-ცეცხლ-ურ-ი, ნა-ლამ-ურ-ი — სა-ლამ-ურ-ი, ნა-თით-ურ-ი — სა-თით-ურ-ი).

სალიტერატურო ენაში უხვად მოგვებოვება იმ ტიპის წინა ვითარების სახელები, რომლებსაც ფუძე **-არ** სუფიქსით აქვთ გაფორმებული: ნა-მამასახლის-არ-ი, ნა-ათაბაგ-არ-ი, ნა-თრთვილ-არ-ი. ზმნური სემანტიკის მატარებელი ფორმები **ნა—არ** აფიქსებიან წინა ვითარების სახელებშიც დაიძებნა: ნა-სახელ-არ-ი, ნა-იალალ-არ-ი...

დასტურდება **-ალ** სუფიქსით გაფორმებული წინა ვითარების სახელებიც: ნა-ღმერთ-ალ-ი, ნა-მოურავ-ალ-ი, ნა-რაიონ-ალ-ი... ზმნური სემანტიკის მატარებელი

ნა—ალ აფიქსებიანი ფორმებია: ნა-ქვეერ-ალ-ი, ნა-ზამორ-ალ-ი... ძველ ქართულში **ნა—ალ** აფიქსი გვხვდება ისეთი ტიპის ყოფილობის ფორმებში, რომელთა საწარმოებელი ფუძე რიცხვითი სახელია: ნა-სამ-ალ-ი, ნა-ოთხ-ალ-ი, ნა-ხუთ-ალ-ი...

ნა- პრეფიქსი ქართულში გამოიყენება ზმნათა ფუძეებიდან წარსულდროიან მიმღობათა საწარმოებლად. წარმოებისას გამოყენებულია აწმყოს ფუძე, ამასთან მოქმედებითი გვარისა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში მოიცავს აწმყოს ფუძის საწარმოებელ **-ავ, -ამ, -ევ, -ემ, -ებ, -ობ, -ოფ** სუფიქსებს, რომლებიც ზმნაში თემის ნიშნის ფუნქციას ასრულებს. რამდენადაც ეს სუფიქსები ამოსავალი ფუძის შემადგენელი ნაწილია, ისინი მიმღობებში გადავა და მიმღობური ფუძის შემადგენელ ელემენტებად გვევლინებიან:

-ავ სუფიქსიანი ზმნებიდან: ფქვავს — ნაფქვავი, რგავს — ნარგავი, მალავს — ნამალავი...

-ამ სუფიქსიანთაგან: აბამს — ნაბამი, სვამს — ნასვამი, ურტყამს — ნარტყამი...

-ევ სუფიქსიანთაგან: ამსხვრევს — ნამსხვრევი, ათრევს — ნათრევი, არღვევს — ნარღვევი...

-ემ სუფიქსიანთაგან: სცემს — ნაცემი, მისცემს — მინაცემი, განაცემი, დანაცემი...

-ებ სუფიქსიანთაგან: აკეთებს — ნაკეთები, ასუქებს — ნასუქები, აჩვენებს — ნაჩვენები...

-ობ სუფიქსიანთაგან: გმობს — ნაგმობი, აპობს — ნაპობი, სპობს — მონასპობი...

-ოფ სუფიქსიანთაგან: ყოფს — განაყოფი, დანაყოფი...

ამგვარად, ერთი მხრივ, გვაქვს სახელთა ფუძეებისაგან **ნა-** პრეფიქსითა და **-ევ** სუფიქსით ნაწარმოები წინა ვითარების სახელები და, მეორე მხრივ, ზმნათაგან ოდენ **ნა-** პრეფიქსით ნაწარმოები ნამყო დროის ვნებითი გვარის მიმღობები, რომლებშიც ზმნის ფუძიდან გადმოსული თემატური **-ევ** სუფიქსი ჩანს. ეს ფორმები გარეგნულად ჰგავს ერთმანეთს, თუმცა არასოდეს არ ქმნიან პარალელურ სიტყვებს, რომელთა აღრევა შესაძლებელი იქნებოდა მართლწერის თვალსაზრისით. ანალოგიურად, არც იმ შემთხვევაში იქმნება წინა ვითარების სახელებთან აღრევის საშიშროება, როდესაც მიმღობაში **-ევ** სუფიქსი წარმოჩნდება **-ავ** სუფიქსის გვერდით. მაგ.: პარავს ზმნისგანაა ნაწარმოები მიმღობები: ნაპარავი და ნაპარევი, თვალავს — ნათვალავი, ნათვალევი...

როგორც აღინიშნა, მოქმედებითი გვარის ზმნათა საკმაოდ დიდი ჯგუფი დაირთავს **-ებ** სუფიქსს, რომელიც, შესაბამისად, ამ ზმნათაგან ნაწარმოებ ვნებითი გვარის ნამყო დროის მიმღობებშიც დასტურდება. ამგვარ მიმღობათა აღრევა ხდება წინა ვითარების ზოგ სახელთან, რასაც პარალელურ ფორმათა არსებობა განაპირობებს. პარალელიზმის წარმოშობის საფუძველი ისაა, რომ **-ებ** სუფიქსიანი ზმნებისგან ნაწარმოებ მიმღობებში ეს **-ებ** შეიძლება შეიცვალოს **-ევ** სუფიქსით და, ერთი მხრივ, გვხვდება მიმღობათა პარალელური ფორმები: ნაპატრონები/ნაპატრონევი, ნაკარნახები/ნაკარნახევი, ნალალატები/ნალალატევი და ა.შ. მეორე მხრივ კი, პირუკუ, დასტურდება ისეთი სახელები, რომლებიც წინა ვითარების სახელებთან ქმნის პარალელურ ფორმებს, აქ **-ევ** სუფიქსის ნაცვლად **-ებ** ბოლოსართი იჩენს თავს: ნაბატონ-ებ-ი, ნაყმ-ებ-ი, ნაცოლ-ებ-ი, ნაიარ-ებ-ი, ნააღდგომ-ებ-ი და მისთ.

-ებ სუფიქსიან ზმნათაგან ნაწარმოებ მიმღობებში თავს იჩენს პარალელში **-ევ** სუფიქსიან წარმოებასთან თუ მხოლოდ გარკვეული ტიპის ფორმებში ხდება ამ ტენდენციის გამომქლავება? ამ საკითხზე საინტერესო მსჯელობა აქვს თ. ზურაბიშვილს. იგი მიიჩნევს, რომ თუ ზმნას აწმყო და მყოფადი ერთსა და იმავე ფუძეზე აქვს დაყრდნობილი, შესაბამის მიმღობებში **-ებ** დაბოლოების **-ევ**-ით შეცვლის საკითხი არ დგას: აკეთებს — გააკეთებს, განაკეთები, აგროვებს — მოაგროვებს, მონაგროვები, ატარებს — დაატარებს, დანატარები, აშენებს — ააშენებს, ნაშენები... (თ. ზურაბიშვილი, 1972, გვ. 139). რამდენიმე ნასახელარ ზმნაში **-ებ** დაბოლოების პარალელურად **-ევ**-იც იჩენს თავს: ასამართლებს — ნასამართლები//ნასამართლელი, აჩუქურთმებს — ნაჩუქურთმები//ნაჩუქურთმელი, აქანდაკებს — ნაქანდაკები//ნაქანდაკელი...

წინა ვითარების სახელთა მიმსგავსებით ზოგ შემთხვევაში ხდება პარალელურ ფორმათა გაჩენა **-ებ** დაბოლოების **-ევ**-ით შეცვლის შედეგად: ნალაპარაკების გვერდით გვაქვს ნალაპარაკელი, ნაკარნახების გვერდით — ნაკარნახელი... ის ზმნური ფუძეები, რომელთაგანაც მსგავსი მიმღობები იწარმოება (ივარჯიშებს, უკარნახებს, აშიმშილებს...), მომავალი დროისა და დანაკლის ფორმებს უვსებენ საშუალო გვარის ზმნებს (ვარჯიშობს, კარნახობს, შიმშილობს...), რომელთაც საკუთარი წარმოების რამდენიმე მწკრივის ფორმა მოეპოვებათ. თვითონ კი აწმყოს წრეში ჩვეულებრივ არ იხმარებიან, ხოლო, როცა ფორმების შემსვებად გვევლინებიან, ერთი პირით ნაკლების გაგება აქვთ — ეკარგებათ ბრუნვაცვალებადი ობიექტი (თ. ზურაბიშვილი, 1972, გვ. 142).

ე. ი. ნა- პრეფიქსთან **-ევ** და **-ებ** მონაცვლეობს მაშინ, როცა ერთმანეთის პარალელურად დამოწმებულია შესაბამის ზმნათა **-ობ** და **-ებ** თემისნიშნიანი ფორმები, ანუ აწმყოს და მყოფადის ფუძეები განსხვავებულია (თამაშ-ობ-ს — თამაშ-ებ-ს). მაგ.: ნაკარნახები//ნაკარნახელი, ნანადირები//ნანადირელი, ნალოგინები//ნალოგინელი და სხვ.

ამგვარი მიმღობები, ისევე, როგორც მათი ძირეული ზმნები, ზმნისწინს არ დაირთავენ და ამის გამო მოკლებულნი არიან ისეთ ზმნურ ნიშნებს, როგორცაა მოქმედების მიმართულების აღნიშვნა და ასპექტი. მეორე, რაც მეტყველებს მათ თავისებურ ბუნებაზე, არის ის, რომ დასახელებული ტიპის ნა- თავსართიან მიმღობებს პარალელური **-ილ/-ულ** სუფიქსიანი ფორმები არ მოეპოვება. ითქმის: ნანადირები, ნაჯახირები, ნაანდერძები... და არა *ნადირებული, *ჯახირებული, *ანდერძებული და მისთ. (შდრ.: ნაკეთები—გაკეთებული, ნაქები—ქებული...).

სემანტიკურად ამ ტიპის პარალელურ ფორმებს შორის სხვაობა მაინც შეინიშნება და, გარდა ერთეული შემთხვევებისა, **-ებ** სუფიქსიანი მიმღობის ტიპის ფორმები გარჩეულია **ნა—ევ** აფიქსით ნაწარმოები სახელებისაგან: ნააბანოები ისაა, ვინც აბანოში იბანავა, მაგრამ ნააბანოელი არის ადგილი, სადაც ადრე აბანო იყო. პირველი იწარმოება ი-აბანოვ-ებ-ს (იბანავენს) ზმნისაგან, მეორისათვის ამოსავალია აბანო. ასევე: ნაიარები — ვისაც ან რასაც იარები ჰქონდა ან აქვს; მაგრამ ნაიარელი არის იარის ნაკვალევი, ნაქმარები//ნაქმრები — ვისაც ქმარი ჰყავდა; ნაქმარელი//ნაქმრელი — ყოფილი ქმარი; ზოგჯერ მნიშვნელობები შეიძლება აირიოს: „კუჭატნელი იმავე ალაგას ეგდო, სადაც სამი კვირის წინათ მისი ნაპატრონელი არლოვი გაიჭიმა“ (მ. ჯავახიშვილი, 1985, გვ. 555). აქ არ ჩანს, არლოვი კუჭატნელის ყოფილი პატრონი იყო თუ კუჭატნელი პატრონობდა მას.

ნა- პრეფიქსიანი მიმღებებისა და წინა ვითარების სახელების ანალიზის შემდეგ თითქოს ცხადი უნდა იყოს, რომ მიმღებებში გამოყენებული **-ევ** სუფიქსი წინა ვითარების სახელებისგან მომდინარეობს და, პირიქით, წინა ვითარების სახელებში არსებული **-ებ** მიმღებური ფორმების საწარმოებელია. ასეთ სხვადასხვა წარმოების ფორმებში წარმოშობითა და დანიშნულებით სრულიად განსხვავებული სუფიქსების აღრევან შესაძლოა გამოწვეული იყოს წინა ვითარების სახელებისა და ნამყო დროის პრეფიქსიანი მიმღებების სემანტიკური სიახლოვით (ორივე გამოხატავს რაღაც სახის ყოფილობას) და მეორე, ცნობილია, რომ **ნა-** პრეფიქსიანი მიმღებები ხშირად სუბსტანტივდება, განსხვავებით სუფიქსიანი მიმღებებისაგან, რომლებიც ძირითადად ზედსართავის, მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებენ.

ლიტერატურა

თ. ზურაბიშვილი, 1972 - თ. ზურაბიშვილი, **ნა—ევ** და **ნა—ებ** აფიქსებით სახელთა წარმოებასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი 1, თბ., 1972.

ა. შანიძე, 1973 - ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.

მ. ჯავახიშვილი, 1985 - მ. ჯავახიშვილი, თბზულებანი, თბ., 1985.

ბ. ჯორბენაძე, 1985 - ბ. ჯორბენაძე, ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები, თბ., 1985.

TAMAR MAMARDASHVILI

ONE SOME FEATURES OF DERIVATION OF WORDS EXPRESSING FORMER EXISTENCE IN THE GEORGIAN LANGUAGE

In terms of expression of former (ex-) existence the Georgian language provides versatile materials. The word-forms of former existence are based on the stems of nouns, verbs, verbal and verbal affix roots. Derivative affixes for the words of former existence are *na-*, *na-ev*, *na-ar/ na-al*, which have the same functions. These affixes convey the action having place, or status, in the past. This type of words are in large quantities as in the live speech so in the literary texts.

On the one hand these words are formed together by both *na*-prefix and *-ev* suffix from nouns and by only *na*-prefix from verbs, on the other. In the past participle of the passive voice the verb stem has *-ev* thematic ending that coincides the *-ev* of nouns, however, this is only the resemblance in appearance, homonymy of forms that can be easily distinguished.

Words derived from noun normally occur with *na-ev*, however, there are exceptions that have only *na*-prefix. This paper discusses different types of words and the specific features of their formation.